საპოლიტიკო სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი გამოდის ყოველ კვირა დღეს.

№ 8 თებერვალი 20 1900 წ. № 8

შინაარსი: ინგლის-ტრანსვაალის ომი და ინგლისის კოლონიები.—სხვა-და-სხვა ამბავი.—„კვალი"-ს კორესპონდენციები.—კვირიდან კვირამდე.—ინგლის-ტრანსვაალის ომი.—ქუთაისი მანუჩარისა.—ტალღები ლექსი გ. ბოკერიასი.—საქართველოს ეკონომიური მდგომარეობა მეცხრამეტე საუკუნეში (გაგრძელება) ფ. მახარაძისა.—ოცი წლის წინეთ (მოთხრობა) გ. წერეთლისა.—ბ. ფალიაშვილის კონცერტი ივ. გომელაურისა.—მეჯბრაშუმეთა პირველ ამხანაგობის წევრთა საყურადღებოთ ე. კიწმარაშვილისა და განცხადებები,

რედაქციის ადრესი: არტილერიის ქუჩა № 5.

ინგლის-ტრანსვაალის ომი.

და

ინგლისის კოლონიები.

ინგლისის სამფლობელო კოლონიები გაპნეულია მთელ დედამიწაზე. ხმელეთის ვერც ერთ კუთხეს ვერ მიადგები ისე, რომ იქ ინგლისის ბაირაღი არ იყოს აფრიალებული და ინგლისის მართვა-გამგეობა შემოღებული. ზოგს აქვს სრული თვითმართველობა პარლამენტით, ზოგი კი პირდაპირ დამოკიდებულია ინგლისისაგან. მარა რაც უნდა იყოს, ორივე შემთხვევაში, მათი ბატონი და მფარველი ინგლისია. ამისათვის ერთი შეხედვით, ისინი უნდა იყვენ ინგლისის წინააღმდეგი და ეძებდენ შემთხვევას დამოუკიდებლობა მოიპოვონ. მარა ნამდვილად კი ასე არ არის. ისეთი გაჭირება, როგორიც ახლანდელ ომმა დაატეხა ინგლისს, თითქმის არასოდეს მას არ განუცდია, და აი იმის მაგიერათ, რომ კოლონიებმა ამით ისარგებლონ, ისინი ინგლისის საშველათ და მომხმარეთ გამოდიან და გამოდიან არა ბრძანებით, ძალდატანებით, არამედ სრული თავისი ნებით. ეს მოვლენა ნათლათ მოწმობს იმას, რომ ინგლისი სრულიად თავისუფლათ და შეუწუხებლათ განაგებს თავის სამფლობელოს და ესენიც მადლიერნი არიან მისი.

ინგლისის კოლონიებში ინგლისელთა სასარგებლოთ მოძრაობა დაიბადა დეკემბერში ე. ი. მაშინ როცა დაინახეს რომ ინგლისი თანდათან მარცხდება და მტერს ვერ უმაგრდება. და აი, ქვეყნის ყოველ კუთხეში გაისმა ხმა: მივეშველოთ ინგლისსო! კანადა, ავსტრალია, ცეილონი, ახალი ზელანდია, კოლუმბია, ინდოეთი—ერთი სიტყვით ყველა ახალშენი დაიძრა თავისი მფარველის დასახმარებლათ. პირველ ყოვლისა, შედგა თავისუფალი მეომარი რაზმები და დაარსეს საომარი ფონდები. დეკემბრის უკანასკნელ რიცხვებში კანადიდან (ამერიკაშია) გაემგზავრა ორი რაზმი ომის ველზე, იანვარში ამათ თან გაჰყვა კიდევ ორი რაზმი, თავისი ცხენებით, ხარჯით და საომარი მასალებით. თითოეული რაზმი შედგება 530 კაცისაგან 560 ცხენით. როგორც კი გამოცხადდა—ვისაც ომში წასვლა სურს ჩაეწეროსო, იმდენი ხალხი მოაწყდა, რომ იძულებული იყვენ ნახევარზე მეტი უკან დაებრუნებიათ. ფულს და ხარჯებს თითონ მოქალაქენი კისრულობდენ. და ეს არა მარტო ინგლისელ კანადიელთ, არამედ ფრანგ კანადიელთა შორისაც. აი რა უთხრა კანადის პარლამენტის ფრანგ დეპუტატთა მეთაურ-

მა. პრეფონტენმა, აფრიკაში მიმავალ ჯარს: კანადის ფრანგებს და ინგლისელებს შორის ამ საქმეში სრული თანხმობაა, ჩვენ ორივენი „მზათა ვართ დავიცვათ სახელოვანი დროშა ინგლისისა“.

კანადის პირველმა მინისტრმა ერთი თავისი სიტყვა ასე დააბოლოვა: „ჩვენ ვეხმარებით ინგლისს არა იმისთვის, რომ ბურებს წაართვას ის უფლებები რაც დღეს აქვს, არამედ იმისთვის რომ ეს უფლებები მიეცეს ტრანსვაალის სხვა მცხოვრებთაც. და ეს უეჭველათ მიგვიყვანს სამხრეთ აფრიკის ხალხთა კონფედერაციისაკენ, რომლის საფუძველია სიმართლე და თავისუფლება ყველასთვის და თანასწორობა კანონის წინაშე. ამ იდეალის მისაღწევათ დიდ ბრიტანიას მხარს უჭერს ყველა მისი კოლონიები, არა მის საშველათ—ამაში ის არ საჭიროებს—არამედ ქვეყნის დასარწმუნებლათ იმაში, რომ ბრიტანიის იმპერია ერთი, განუყოფელი და ცხოველმყოფელია, რაიცა დამყარებულია სრულ ადგილობრივ თვითმართველობაზე და ყველა მისი ქვეშევრდომის უფლებათა პატივისცემაზე. აი ეს მოსაზრება მიუძღვის წინ ჩვენ მოქმედებას და ამასვე წარვუდგენ პარლამენტს მისაღებათო“.

ასეთივე მოძრაობა დაიწყო ავსტრალიაში. ომის ველზე გაემგზავრა 18 დეკემბერს პირველი ბატარეა, იანვრის პირველ რიცხვებში კი მეომართა პითველი რაზმი, რომელიც შეიცავდა 500-მდე კაცს. რამოდენიმე დღეში აქ მოაგროვეს 200 ათასი მანეთი ჯარის მოსაწყობათ. იანვრის განმავლობაში შედგა რამდენიმე რაზმი თავისუფალ მეომართა. ორი ათასი ბუშმენი (შავ კანიანები) ჩაეწერა და ომში წავიდა. ბუშმენების ფონდი უდრის 250 ათას მანეთს. ბუშმენთა ჯარები გროვდება ავსტრალიის ყველა კუთხეში. მთავრობამ წინადადება მისცა პარლამენტს გადაიდვას 200 ათასი მან. საომარი ფონდისათვისო. საზოგადოთ, ავსტრალიელთა შორის ამ ჟამათ დიდი მოძრაობაა ომში გასასვლელათ. ამასვე ვხედავთ ახალ ზელანდიაში, ცეილონში და სხვა კუნძულებზე. და, რაც უფრო საკვირველია, ამ მოძრაობამ ჩაითრია ინდოეთი, ის ინდოეთი, რომელსაც ვითომ ასე უმოწყალოთ ტანჯავს ბარბაროსი ინგლისი! პირველათ, ინდოეთის პროვინციების მთავრებმა მისცეს დახმარება ინგლისს ცხენების და სხვა მასალების გაგზავნით. კაშმირის მთავარმა ინგლისს დაუთმო თავისი ჯარის ერთი ნაწილი და ცხენები. მაჰარას მთავარმა განაცხადა: პროვინციის თითოეული ცხენი ინგლისის მთავრობის განკარგულებაში იყოსო. ასევე განაცხადეს ინდოეთის სხვა მთავრებმა. ეს იყო დეკემბერში. იანვარში დაიწყო თავისუფალ რაზმების შედგენა. 2 იანვარს კალკუტაში ოავი მოიყარა 500 თავისუფალ ჯარის კაცმა თავისი ცხენებით და მასალებით და მოითხოვეს მხოლოთ თოფი და მუქთათ წაყვანა ომის ველზე. 8—15 იანვარს ინდოეთის ტაძრებში გადახდილ იქმნა ლოცვები ინგლისის გამარჯვებისათვის. 13—14 იანვარს კალკუტაში მოხდა ინდოელთა (ჰინდუსების და მაჰმადიანების) დიდი მიტინგი, რომელმაც მიიღო ინგლისის სასარგებლო გადაწყვეტილება და იქავე შეკრიბეს 63 ათასი რუპია ომის ფონდის სასარგებლოთ. ამასთანავე შედგა ინდოელთა კომიტეტი. ამ ფულს გარდა, ინდოეთში შეგროვილი ომის ფონდი უდრის ამ ჟამათ ნახევარ მილიონ მანეთს ..

ამნაირათ, ინგლისს დღეს გვერდში უდგას ყველა მისი ახალშენი. ამას განმარტება აღარ ეჭირვება. [1])

სხვა-და-სხვა ამბები.

თებერვლის 12 პეტერბურღში სახელმწიფო საბჭოს სხდომას რომელიც ხიზანთა დებულებას შინჯავდა დაესწრენ თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი, თ. კ. ი. ბაგრატიონ მუხრანსკი და სახელმწიფო ქონებათა ვექილი საყვარელიძე. ამათ უნდა წარედგინათ თავისი მოსაზრებები ხიზნების შესახებ.

—

თფილისის მაზრის ზოგიერთი სოფლის მცხოვრებთ შუამდგომლობა აღუძრავსთ სოფლის სამმართველოსთან ფონდის დაარსების შესახებ. ფონდის დანიშნულება იქნება, ღარიბ გლეხებს დახმარება აღმოუჩინოს მცირე სესხის მიცემით და ამით დაიხსნას ისინი მევახშეების კლანჭებისაგან.

—

საშინაო საქმეთა სამინისტროსთან ცალკე კომისია არის შემდგარი, რომელსაც საქალაქო დებულების გადაშინჯვა აქვს მინდობილი. ამ მოკლე დროში ეს კომისია დაამთავრებს თავის მუშაობას. უკვე არსებულ დებულებაში კომისიას რაიმე შესამჩნევი ცვლილება არ შეუტანია თურმე. რაც შეეხება საქალაქო დებულებას საქართველოში, იქ შეტანილი იქნება ზოგიერთი ცვლილებები ადგილობრივი პირობების მიხედვით; ეს ცვლილებები უმთავრესათ საარჩევნო ცენზს შეეხებიან.

—

მთავრობას გადუწყვეტია: სამრევლო სკოლებთან საქართველოში სამეურნეო განყოფილებებიც გახსნას, რომ ამით მცხოვრებთა ეკონომიური მდგომარეობა როგორმე გააუმჯობესოს. თუ რამდენათ ააყვავებს ჩვენ მეურნეობას ეს „განყოფილებები“, ამას მომავალი დაგვანახვებს.

—

თფილისში აპირებენ სამხატვრო-საკონდუქტორო კლასების გაღებას, რომელთა მიზანიც იქნება

[1]) მხოლოთ ერთათ ერთი ირლანდიაა ამ ჟამათ ინგლისის წინააღმდეგი.

მოამზადონ მხატვრები და კონდუქტორები საქართველოს სხვა და სხვა დაწესებულებათათვის.

—

თფილისის ელექტრონით განათების საქმე თითქმის გადაწყვეტილია. როგორც კომისიას გამოურკვევია, მთელი ქალაქის განათებისათვის საჭირო იქნება 9,000 ელექტრონის ლამპა. ფირმებისაგან ფასის გამოცხადებისათვის უკანასკნელ ვადათ დანიშნულია 10 მარტი.

—

რუსეთში აპირებენ კრების მოწვევას რუსეთის მევენახენი და ღვინის ვაჭრები. კრების მიზანი იქნება, გამონახოს საშუალებანი ვენახისა და ღვინის გაუმჯობესებისათვის და იხმაროს ღონე ღვინის ფალსიფიკაციის წინააღმდეგ.

—

ოთხშაბათს, 16 თებერვალს, ქართულ თეატრში წარმოადგინეს ქ-ბ. კარგარეთელის საბენეფისოთ „ებრაელი ქალი“. წარმოდგენამ სუსტათ ჩაიარა და ხალხიც ნაკლებათ დაესწრო. მობენეფისეს საჩუქარი მიართვეს.

„კვალის“ კორესპონდენციები

ქ. ყაზანი. 30 იანვარი ყაზანის კავკასიელ მოსწავლე ახალ-გაზრდობისათვის ფრიად საგულისხმო დღე იყო. ამ დღეს სათანადო მთავრობისა და ყაზანის საზოგადოების მიერ შეწყნარებულ იქმნა ამ ახალგაზრდობის უგულითადესი სურვილი საქველმოქმედო საღამოს გამართვისა.

ეს მოვლენა ჩვენი ძვირფასი გიორგი წერეთლის დაკარგვით გულდათუთქულ აქაურ ახალგაზრდობის ერთი ნაწილისათვის მართლა რომ ზედ-მოსწრებული მალამო იყო: საერთო მიზანმა აქ მყოფ კავკასიელ ახალგაზრდებს, ეროვნების განურჩევლათ, ყველას თავი ერთათ შეგვიყარა, ერთმანეთს დაგვაახლოვა, ერთი საქმე გაგვიჩინა, და ამით ერთხელ კიდევ დაგვანახვა შესაძლებლობა იმ პრინციპის განხორციელებისა, რომელსაც, სხვათა შორის, ისე გულმხურვალეთ მსახურებდა ჩვენი, აწ დაკარგული, მაგრამ დაუვიწყარი გიორგი.

ეს საქმე იყო—ახალქალაქის მაზრაში მიწის ძვრით დაზარალებულთა სასარგებლოთ საქველ-მოქმედო კონცერტის გამართვა კავკასიური ხასიათით.

ამ საქმეში უმთავრესი დვაწლი მიუძღვის ქ-ნ გრინასკის (იტალიელია), რომელმაც უსასყიდლოთ იტვირთა როგორც საღამოს თაოსნობა და ხელმძღვანელობა, აგრეთვე თავის მოსწავლე-მგალობლებით მხურვალე მონაწილეობა მიიღო თვით კონცერტშიაც.

კონცერტი შედგებოდა ორი განყოფილებისაგან და ორივეში საკმაო ადგილი ეჭირა კავკასიელ (რუს, ქართველ, ოს და ებრაელ მოსწავლე ახალგაზრდათა მგალობელ გუნდს,*) რომელმაც ბ-ნ ვ. სუმიონოვის ლოტბარობით შემდეგი სიმღერები შეასრულა: „იავნანა“, „ფაცხა“, „ნეტავი-გოგო“, „მაყრული“ (იგივე: „ქართველო ხელი“), „ჩარი“ და სხვ.

კონცერტს შემდეგ გაიმართა საცეკვაო საღამო, რომელიც „ცანგალა-გოგონას“ ხმაზე ლეკურის თამაშით დაიწყო. ლეკური ითამაშეს: ბ. ბ. მიხ. ბელიაშვილმა და ოსმა თუხაევმა.

კონცერტს ბევრი საზოგადოება დაესწრო და ნასიამოვნებიც დარჩა. შემოსავალი 300 მანეთს აღემატება.

უღრმესი მადლობის ღირსია როგორც ქ-ნი გრინასკი, კონცერტის გამმართველი, აგრეთვე მსახიობნი: ბ-ნი კრასოვი, რომელმაც კონცერტზე აპუხტინის “შეშლილი“ წაიკითხა და ქ-ნი შატელენი (ფსევდონიმია), რომელმაც როგორც თფილისში აღზრდილმა და ჩამომავლობითაც კავკასიელმა, ფრიად მხურვალე მონაწილეობა მიიღო ჩვენ საერთო საქმეში. მიუხედავათ იმისა, რომ მას იმავე დღეს და იმავე საღამოს თეატრში როლი ჰქონდა დანიშნული, მან ორივე ადგილს მოასწრო ყოფნა და კონცერტის დამსწრე საზოგადოება დიდ აღტაცებაში მოიყვანა თავისი შვენიერი წაკითხვით.—

ამავე დროს ყაზანის სასულიერო აკადემიაში პროფესორთა და სტუდენტებ შორის იმავე მიზნით ხელის მოწერა იყო გამართული, საიდანაც 35 მანეთი შემოვიდა.

კონცერტის შემოსავალი ყაზანის გუბერნატორს გადაეცა. 35 მანეთი კი „Кавказъ“-ის რედაქციას გაეგზავნა.

დ. მ. წრე.

—

ჭიათურა. შავი ქვის მწარმოებლის საბჭომ დაიქირავა კერძო ექიმი ბ-ნი ვ. წერეთელი ჭიათურის ქსენონისთვის. როგორც წინა წერილში მოვიხსენიე დიდი უწესოება და ნაკლულევანება სუფევდა (და სუფევს დღესაც) ქსენონში. რა ნახა ეს ბ. წერეთელმა მეტათ განცვიფრდა და მოხსენებას მოხსენებაზე გზავნიდა საბჭოში, სადაც დაწვრილებით ხსნიდა ქსენონის მდგომარეობას და ითხოვდა ქსენონის კარგ ნიადაგზე დაყენებას. მართლაც მის მოხსენებებს მიაქცია ყურადღება გუბერნიის მთავრობამ და დანიშნა განსაკუთრებითი კომისია, რომელსაც დაავალა ქსენონის საქმე და მისი კარგ ნიადაგზე დაყენება. სასურველია რომ ამ უბედურ ვარსკვლავზე დაბადებულ ქსენონს უფრო ჯეროვანი ყურადღება მიექცეს, თორემ იმ პირობებში რა პირობებშიაც ახლა ქსენონი არის ეოვლად შეუძლებელია ექიმმა თავის მოვალეობა ჯეროვანათ შეასრულოს. სასურველია აგრეთვე ქსენონის მართვა-გამგეობა ოფიციალურათ ბ. წერეთელს დაევალოს და ის იყოს პასუხის მგებელი, ქსენონის და ავათმყოფების შესანახი კრედიტიც მასვე მიეცეს. დღეს ეს კრედიტი გუბერნიის მკურნალის

*] კავკასიელ სომეხთაგანი ამ ჟამათ აქ არავინ სწავლობს.

ხელში და ის ავანსით აძლევს ბ. მაზრის ექიმს, რომელიც ითვლება ჭიათურის ქსენონის ოფიციალურ გამგეთ. ასეთი ოპერაცია მეტათ აფერხებს ქსენონის საქმეს.

საბჭოს პირდაპირი მოვალეობაა თვალყური ადევნოს ქსენონის საქმეს, ხშირ-ხშირათ დათვალიეროს და არ დატოვოს ისე მივიწყებული როგორც დღემდის იყო.

ახალ წლიდან შავი ქვის მწარმოებლების საბჭომ დააარსა სამკითხველო-წიგნთ საცავი (ალბათ თავისთვის, თორემ მუშებისათვის რომ დაეარსებინა ხომ იქ არ გაადებდა, სადაც არც ერთი მუშა არ ცხოვრობს), რასაც დიდის სიამოვნებით მიეგება მთელი ჭიათურა, მარა ის კი ვერ მოსვლია საბჭოს კარგათ, რომ შესაფერი ადგილი ვერ აღმოურჩევია სამკითხველოსთვის. კარგი იქნება საბჭო სადმე ბაზრის მახლობლათ დაიქირავებდეს სახლს სამკითხველოსთვის, სადაც ცხოვრობენ უმრავლესობა მუშებისა და ღვინოში იღრჩობიან.

გულშემატკივარი.

კვირიდან კვირამდე.

«დეიატელნიცა».—ახალმოდის საბუთები.
—ჩვენებური აღმოჩენა.—не понимаю!..

„შვილო კვირიდან კვირამდე! ერთი მეც მათქმევინე ორიოდე სიტყვა, შენ გენაცვალოს შენი დედა. ამ სიბერის დროს ამასაც თუ მოვესწრობოდი, აღარ მეგონა. სიცოცხლე ჩამიმწარდა, შვილო, სიცოცხლე. არც იმდენი ხნის ვარ, მაგრამ ამათი მაყურებელი თმა სულ მთლათ გამითეთრდა და წელშიც მოვიხარე. ახლანდელი ქალების აღარაფერი გამეგება და შეიძლება თქვენ გამაგებიოთ, თორემ სულსა ვფიცავ, ლამის გავგიჟდე ჯავრისაგან. ყველასაგან ერთი და იგივე მესმის: საზოგადოებას ვემსახურებით, საზოგადოებასო. (მე ჩემ ნაცნობებზე მოგახსენებთ, სხვებს ჯვარი სწერია) როგორი სამსახურია ეგ არ მესმის. შინ მათ ვერაოდეს ვერ ნახავთ, დილის ექვსი საათიდან საღამოს 12 საათამდი სხვისას—სხვისას ან გზაზე (უფრო „კონკაში“) თუ შეხვდებით, თორემ თავის ან თავის ნათესავის ოჯახში კი ვერა. სხვებს კიდევ გავუძლებდი, მაგრამ ამ ბოლო დროს იმათ ჩემი შვილიშვილებიც აჰყოლია და დილიდან საღამომდი მარტო-მარტო მაგდებენ. ამას წინათ, ჩემი მარინკა ლოგინზე მომვარდა და სიხარულით კინაღამ ძირს ჩამომიდო: გაიგე, გაიგე, მეც ,,დიატელნიცა‘‘ გავხდიო.— რას ქვია შვილო ეგ ,,დიატელნიცა‘‘? ვკითხე.—აი რასო: ამაღამ მე ვიყავი ერთ კრებაზე, რომელმაც კომისია ამოარჩია და ამ კომისიის წევრათ მეც ჩამნიშნესო. არ მესმის, სულსა ვფიცავ, არ მესმის! დიატელნიცა, კრება, კომისია—დამიდგეს ყური, ჩემ დღეში არ გამიგონია. ნეტავ ვიცოდე: მართლა არსებობს ყველა ეს თუ იმ ჩემმა ცელქმა დამატყუა‘‘.

„ლიჩაქოსანი“.

*
* *

არა, ბატონო, ტყუილი კი არა, სრული სიმართლე იქნება, ,,დეიატელნიცობა‘‘, (ქართულათ ,,ქალთა მოღვაწეობა‘‘) ახლა დიდ მოდაშია, განსაკუთრებით მოსიარულე ,,დეიატელნიცობა‘‘. დრო არის ამნაირი და უნდა შეეჩვიოთ: ამას წინეთ ერთი ამათგანის ბარათი მივიღეთ, რასაც ჩვენ უნდა შევეყვიოთ. აი ეს ბარათი:

,,მ. ხ. ეს რამოდენიმე წელიწადია ,,კვალს‘‘ ვიწერ. ახლა გთხოვთ აღარ გამომიგზავნოთ და ხვედრი ფულიც მიირთვათ. ერთი რომ ქალებს ახლა ძალიან ბევრი ხაქმეები გვაქვს და კითხვისთვის ვედარ ვიცლით, მეორეთ, სიმართლე მოგახსენოთ, ნერვები მეშლება როცა ვინმეს შეეხებით ხოლმე და განსაკუთრებით კი ჩემ ნათესავს, რაც ასე ხშირია თქვენ გაზეთში. უფრო დაწვრილებით ამ ბარათის მომტანი მოგახსენებს‘‘...

—ნა.

*
* *

დანარჩენი მოციქულს დაემთავრებია პირადათ.

აი ასეთი არგუმენტები იცის ზოგმა ,,დეიატელნიცამ‘‘ და აბა ამას ვინ გაუმაგრდება. მარა არ იფიქროთ, ეს მხოლოთ ქალების ხელობა იყოს, არა კაცებიც არ არიან თავისუფალნი ასეთი ახალ-ახალი „ხერხებისაგან, რაიცა ჩანს შემდეგიდან:

,,ბ-ნო კვირიდან კვირამდე! გთხოვთ ეს აგვიხსნათ: ქართულ გაზეთებში წავიკითხე გადაწყვეტილება ,,ჯეჯილის‘‘ სამზრუნველო კომისიისა და დიდათაც გამაოცა. იქ სხვათა შორის სწერია: ,,ჯეჯილი‘‘ უნდა იწერებოდეს ლიტერატურული ენით და მიეცეს ეროვნული ხასიათიო. მაშ რა ენით იწერებოდა ან და რა ხასიათი ჰქონდა ამ ათი წლის განმავლობაში?‘‘.

„ჯეჯილი“-ს ხელის მომწერი.

*
* *

ჩვენებური კომისია მაშ რის ჩვენებურია თუ ამერიკა მესამეჯერ არ აღმოაჩინა და ქვეყანას არ აუწყა: აი ნამდვილი კოლუმბი ჩვენ ვართო!... კომისიების ახირებულობას გვიმტკიცებს შემდეგი წერილიც:...

ინგლის-ტრანსვაალის ომი.

როგორც უკანასკნელათ ვთქვით, ომის უმთავრესი ინტერესი დასავლეთის მხრით, ორანჟეს საზღვრებზე, გადმოვიდა. აქ ინგლისის ჯარი, ფრენჩის და რობერტსის სარდლობით, გარს შემოერტყა ბურების ჯარს კრონიეს მეთაურობით. კრონიეს სასველათ გამოემშურენ ბურები,

მაგრამ ინგლისელებმა ისინი დაამარცხეს და გაფანტეს. ამ ნაირათ, კრონიე დარჩა უმწეოთ, მტრებისაგან გარემოცული. რობერტსის უკანასკნელი ტელეგრამა იუწყება: „მზვერავების მიერ მოტანილი ცნობებით გავიგეთ, რომ კრონიეს ჯარი თანდათან უფრო ეცემოდა სულით, ამასთანავე მატულობდა უთანხმოება და შური ჯარის კაცთა შორის, ცხადი იყო, რომ ეს გარმოება გამოიწვია საშველათ მოსული ბურების დამარცხებამ. ამის გამო 11 თებერვალს გადავწყვიტეთ უფრო მედგრათ მივსულიყავით მტერზე. ღამით ჩვენი ჯარი მიუახლოვდა მტრის ბანაკს და ჩვენი არტილერიაც განუწყვეტლათ უმბარებს ესროდა ბურებს. ჭაერასტატის საშუალებით მტრის ბანაკის მოძრაობა დავათვალიერეთ. დღეს დილით (13 თებ.) ბრიტანიისა და კანადის ჯარების იერიშის წყალობით, ავიღეთ წინა სიმაგრეებიო". მაშინ კი კრონიე იძულებული გახდა იარაღი დაეყარა და თავისი 4 ათასი მეომარით დამორჩილებოდა. თვით კრონიე, რობერტსის მოთხოვით, წავიდა ინგლისელთა ბანაკში და ითხოვა კარგათ მოგვექცითო, აგრეთვე ისიც, რომ ,,ჩემ ცოლს, შვილიშვილს, მდივანს, ადიუტანს და მოსამსახურეთ ნება მიეცით გამომყვენ იქ, სადაც გამგზავნითო. რობერტსმა დაამშვიდა და ყველა ამის ასრულება დაპირდაო''.

ამ გვარათ, ორანჟეს ჯარები დატყვევებულია. ტყვეთა რიცხვია 4 ათასი, ამათში ორანჟელია 1,150, დანარჩენი კი ტრანსვალელებია. ამაერიდან ორანჟეს სატახტო ქალაქის აღება ადვილათ მოხდება. ბულერის ბანაკიდან ჯერ არა ისმისრა, მაგრამ რობერტსის გამარჯვება იმათაც გაამხნევებს და ლედისმიტის გამოხსნაც ჩქარა შესრულდება.

ერთი სიტყვით, ამ ერთი კვირის ამბებმა ომის სასწორი ინგლისისაკენ გადახარა. ახლა ეჭვი აღარ უნდა ჰქონდეს ვინმეს, რომ ბურები ომს წააგებენ. მარა მათი სახელის და დიდებისთვის კმარა ისიც, რაც აქამდის გააკეთეს. გასაკვირველი ის კი არ არის, რომ ომს წააგებენ, არამედ ის რომ აქამდის არ წააგეს...

ქ უ თ ა ი ს ი.

თუ არ გინახავს, მკითხველო, ქუთაისი, გირჩევ ნახო; ნახო, როგორც ერთი ღირს შესანიშნავი ადგილი იმერეთისა. იქნება თქვა: განა ცოტა დაწერილა ქუთაისზე, რომ მას არ ვიცნობდეთ? გარწმუნებ ცდები — ვერც ერთი ენა მჭევრი კორესპონდენტი ვერ შეძლებს სავსებით გაგაცნოს ქუთაისი, თვალ წინ გადაგიშალოს მისი ავ-კარგი, ჩაგახედოს მის სულის სიღრმეში... განა იმიტომ რომ ვითომ ქუთაისი დიდ რამეს წარმოადგენდეს; განა იმიტომ, რომ ვითომ მრავალ-მხრივი და რთულ-შინარსიანი იყოს მისი ცხოვრება? — არა! პირ იქით, ქუთაისი მეტათ მარტივი ქალაქია, მისი სულიერი მოძრაობა მეტათ თვალსაჩინოა, მაგრამ ამასთანავე განსაკუთრებული, თავისებური კი. ქუთაისი სხვა ჩვენ ქალაქებთან შედარებით გამონაკლს წარმოადგენს, მისი მზგავსი მთელ კავკასიაში არ მოიძებნება. მართლაც და რითი აიხსნება ამდენი სჯა ბაასი ქუთაისზე? რით იქცევს ეს პაწაწკინა ქალაქი საზოგადოების ყურადღებას? ვინ არის, რომ ხმაურობს შიგ და ძალა უნებურათ თავისკენ გვაცქერინებს?

აქ არა თუ რაიმე სხვილ წარმოებას ადგილი არა აქვს, არამედ უბრალო ვაჭრობაც კი მისუსტებულია და მაშასადამე არც ის ორი ელემენტია, რომელიც ,,ტონს'' აძლევს ცხოვრებას, ამოძრავებს და ამრავალ-ფეროვანებს მას. აქ ქუჩა დუმს, მიყუჩებულია, ხალხი არ ავსებს მას თავის ხმაურობით, არ გიიჩქარის მდინარის ტალღებსავით, როგორც ეს მაგალითათ, თფილისშია, სადა, თუ ამ ტალღას მოხვდი, ძალა უნებურათ ფეხი უნდაააჩქარო. დიახ! აქ არც ერთია და არც მეორე, მაგრამ ქუთაისი მაინც გუგუნებს, ქუხს და ჭექს, იძვრის, მოძრაობს და საზოგადოების ყურადღებასაც იქცევს. ნუ გაგიკვირდება, მკითხველო, გაიარე „ბულვარში", შედე „გასართობის" კარები, დაათვალიერე სამსჯავროს „კარიდორები" და შენთვის ყველაფერი ცხადი იქნება. პირველი ინტელიგენტთა პოზიციაა, მეორე — ხანჯლოსან მოქეიფეთა და მესამე — სოფლელ წვრილ მესაკუთრეთა. აი ვინ ხმაურობს ქუთაისში! ვისით მოაქვს ქალაქს თავი, ვისით ამაყობს! თუ ვისმეს ახსოვს ქუთაისი, თუ ვინმე მასზე ლაპარაკობს და მსჯელობს, ამის მიზეზი ეს სამი ადგილია, მასში მომქმედი ელემენტებია. ახლა ვნახოთ რაში გამოიხატვის თითოეულ ელემენტთა ხმაურობა, საითკენ მიისწრაფიან, რას ეტრფიან? დავიწყოთ ინტელიგენციიდან.

აქაური ინტელიგენცია ორ ბანაკათ უნდა გავყოთ — ძველი და ახალი [1]). როგორც ვიცით, ძველ ინტელიგენტთა შორის კარგა ხანია სასტიკი ბრძოლაა ატეხილი. სამშობლო იღუპებაო, გაისმა შარშან ხმა და ერთმა ნაწილმა ძველი ინტელიგენციისამ იერიში მიიტანა ქუთაისის ციხეზე, მეციხოვნეთაც რასაკვირველია, არა ძინავდათ და საშინელი ცეცხლი გააჩინეს, და ეს ბრძოლა დღემდის სისტემატიურათ მიმდინარეობს. მაგრამ იცით რა მიმართულება მიიღო ამ ბრძოლამ? ნუ მათქმევინებთ!.. ორივე მოპირდაპირე საზიზღარ ჯაშუშათ გადაიქცა; არავითარ ზომას გვერდს არ უხვევენ თავიანთ მტრის დასამარცხებლათ; მაგრამ განა გასამტყუნარნი არიან? ხომ ორივე მხარე მამულის დასაცველათ იბრძვის?! ერთსაცა და მეორესაც ხომ სიმართლის გამეფების სურვილი ამოძრავებთ?! შენ თუ გინდა ნუ დაიჯერებ, მკითხველო! იმათ კი ეს ასე გამოაქვთ ბაზა-

[1]) აქ, რასაკვირველია, წლოვანებით არ ვხელძღვანელობთ; ძველს ჩვენ ვუწოდებთ იმ ინტილიგენტთა ჯგუფს, რომელსაც ბანკში და მის გარშემო მოუყრია თავი; ზოგი შიგნით გამაგრებულა, და ზოგიც შესვლას ლამობს.

რზე გასასვლელთან. როგორც ვოქვი, მათი ეზოსკენ, სათანადო ადგილი „ბულვარია“. აქ ითხზება დანიშნული შინაარსი, აქ ატარებენ ხოლმე ცხარე კამათი და სხვა...

დიახ! სასტიკია ეს ბრძოლა, ᲐᲠᲫᲝᲚᲐ სამკვდრო სასიცოცხლო! და აი ერთი წყარო ხმაურობისა. ახლა გადავიხედოთ მეორე ბანაკში, გავიცნოთ ახალ ინტელიგენტის [2]) სულის კვეთებაც. დმერთო ჩემო! რა თავად ჩაუწვდენელი უფსკრულია ამ ორ ბანაკთა შორის. აქ გასაეოფი არაფერია, და არც ბრძოლაა ატეხილი; აქ ჯერ-ჯერობით სრული მშვიდობიანობა და თანხმობა სუფევს: ეველა ერთსა და იმავე საქმეს ემსახურება. იმათი დაარსებულია საკვირო სკოლა, იმათი შრომის ნაყოფია სახალხო თეატრიც. [3]) ამათი კრებებიც სხვა ქალაქის ინტელიგენტთა კრებას არ ჰგავს: გულ ტივობას, დაუდეგრობას აქ ადგილი არა აქვს; ეველა ცდილობს კრებას დაესწროს, კითხვის გამორკვევაში მონაწილეობა მიიღოს. მართალია სტუმარს ძრიელ ეუცხოვება შინაურული დამოკიდებულება კრებაზე დამსწრეთა შორის, როცა მაგალითათ, შემდეგს გაიგონებს: „შენ რა აზრისა ხარ ბარბალე!“ ან კიდევ—ᲞᲔᲢᲠᲔᲛ ასე თქვა, და ივანემ ასე მიუგო. ან, როცა დაინახავს, რომელიმე ორატორი ხელში კრიალოსანს ათამაშებს და თან გაცხარებით იცავს თავის აზრს. მაგრამ ეველა ეს სწორეთ ქუთაისშია შესაძლებელი, ესეც მისი დამახასიათებელი მოვლენაა. ეველა ეს, რასაკვირველია, საქმეს არ უშლის. ჯერ სხვა უფრო საეურადღებო კითხვა ქუთაისს არ წამოუყენებია, და ახალი ინტელიგენტიც უმთავრესათ ამ ორ საქმეს ემსახურება. კეთილი იყოს.

შევადოთ ახლა „გასართობის“ კრები. ეს ხანჯლოსან-მოქეიფეთა სამოდვაწეო არენაა და „გასართობის“ მაგიერ რომ „გასაფუქენელი“ დარქმეოდა ამ ადგილს, განა უჯრიანი არ იყო? გაჭეიდიან თუ არა ჩვენი მკლავაძენი ორ გოდორ სიმინდს ან ერთ მტკავეელ მიწას, მაშინვე „გასართობში“ ამოჭეოფენ თავს და არის ერთი დაუსრულებელი რიხი-რიხინი ნარდისა. ბევრს სპეციალურ საგნათ გაუჩდია ეს ხელობა და მთელი წლობით ამითი ცხოვრობს ქუთაისში. ეველაზე გასაკვირველი ის არის, რომ ამათი რაზმი არა თუ არ მცირდება, პირიქით გასაშტერებელი სისწრაფით იზრდება და დამის არის „გასართობმა“ ველარ დაიტიოს. იდგწიან მკლავაძენი, შრომობენ, ოფლსა ღვრიან „გასართობში“. აქ კარიანტელი, ჩოჩქოლი და ალიაქოთი დგას, და აი მეორე წყარო ხმაურობისა.

კიდევ დაგვრჩა მესამე ადგილი, საიდანაც პირველ ორზე მეტი თუ არა ნაკლები ხმაურობა მაინც არ ისმის, ეს სამსჯავრო. სამწუხაროთ ჯერ არავის შეუდგენია სტატისტიკური ცნობები ქუთაისის ნაფიც-უფიც ვექილთა, მანეთიან „აბლაკატთა“ და სხვა მათ ძმათა რაოდენობის შესახებ. ამის გამო ნამდვილათ მათი რიცხვის ჩვენება ძალიან ძნელია, ხოლო ᲯᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲔᲑᲐᲡᲗᲐᲜ შორს არ იქნება ითქვას, რომ ქუთაისის მკვიდრთა უმრავლესობას ისინი შეადგენენ. დიახ! სწორეთ ასეა, და თქვენ წარმოიდგინეთ, თითოეულ მათგანს სამკალი მრავალი აქვს. ეოველ გადასახვევში „აბლაკატი“ შეგეჩეხება და ქარგასლის „ᲞᲠᲘᲒᲐᲨᲩᲘᲕᲘᲗ“ თავის საქონლის ქებას მოუვება. შეიხედეთ ახლა სამსჯავროში. აი სად არი მოძრაობა! სად დუღს და გადმოდის სიცოცხლე! აქ ზღვაა ხალხის, ეველა ერთი მეორეში ბუზებსავით ირევა; უბრალო აზნაური და დაგლეჯილი გლეხიც კი „სტატიებით“ დაპარაკობს; ამ ვეებერთელა შენობის ეოველი კუთხე ისე იცის, როგორც თავისი ქოხი, ის აქ შინაური კაცია; განა ერთხელ მოსულა და ორხელ? რადა თქმა უნდა არც ერთ ჩვენ ქალაქში, შედარებით რასაკვირველია, იმდენი საქმე არ გაირჩევა, რაოდენ ქუთაისში. იმერელი ძალიან ეტანება სამსჯავროს. და აი აქაც მოძრაობაა, ჩოჩქოლია. ეს არის მესამე წყარო ხმაურობისა. ეველა ეს აქუთაისების ქუთაისს, გვალაპარაკებს მასზე. ეს სამი ელემენტია ქუთაისის სულის ჩამდგმელი, მისი მატოცხლებელი; ეს არის ამ ხანათ მთელი მისი შინაარსი.

მანუჩარი.

ᲢᲐᲚᲦᲐ.

ᲒᲐᲣᲨᲕᲘᲗ ᲢᲐᲚᲦᲐ, ᲒᲐᲣᲨᲕᲘᲗ!
ᲜᲣ ᲔᲮᲘᲓᲔᲑᲘᲗ ᲒᲖᲐᲖᲔᲚᲐ;
ᲢᲔᲣᲘᲚᲐᲗ ᲔᲚᲐᲛᲣᲜᲔᲑᲘᲗ,
ᲕᲔᲠ ᲨᲔᲐᲩᲔᲠᲔᲑᲗ ᲛᲐᲖᲔᲚᲐ!

—

ᲖᲕᲘᲠᲗᲘ ᲖᲕᲘᲠᲗᲡ ᲓᲐᲔᲯᲐᲮᲔᲑᲐ,
ᲖᲚᲕᲐ ᲛᲝᲣᲛᲐᲢᲔᲑᲡ ᲓᲔᲚᲣᲚᲕᲐᲡ;
ᲪᲐ ᲛᲨᲣᲥᲘ, ᲒᲐᲠᲘᲡᲮᲔᲑᲣᲚᲘ
ᲛᲙᲐᲢᲠᲐᲗ ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲑᲡ ᲔᲚᲕᲐᲡ.

—

ᲔᲡ ᲡᲐᲝᲪᲐᲠᲘ ᲙᲕᲔᲗᲔᲑᲐ
ᲛᲝᲡᲕᲝᲑᲡ ᲔᲝᲕᲔᲚᲡᲐ ᲔᲕᲔᲚᲒᲐᲜᲐ!
ᲙᲕᲚᲐᲕ ᲐᲛᲬᲕᲐᲜᲚᲔᲑᲐ ᲯᲔᲯᲘᲚᲘ,
ᲓᲐ ᲐᲧᲕᲐᲕᲓᲔᲑᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲐ!..

გ. ბოკერია.

---

[2]) აქ ქალებს საპატიო ადგილი უჭირავთ.

[3]) აქ ძალაუნებურათ ბ. ალ. მესხიევის საქციელი მაგონდება: მას სახალხო თეატრის კომიტეტმა რეჟისორობა თხოვა, და არა თუ რეჟისორობა იკისრა, არამედ ყველა თავისი არტისტები დაითხოვა სახალხო თეატრში მონაწილეობა არ მიიღოთო. ჩვენ ვაფასებთ მესხიევის ნიჭს და ვურჩევთ ნუ აყვება წუთიერ გულის თქმას, დროა უკან მოიხედოს და შეცდომა გაისწოროს, თორემ დღევანდელმა საზოგადოებამ კარგის დაფასება იცის და ცუდსაც არავის აპატიებს, ვინც უნდა იყოს ის.

საქართველოს ეკონომიური მდგომარეობა მეცხრამეტე საუკუნეში. *)

II. მცხოვრებნი.

როგორც პირველ წერილში მოხსენებული გვქონდა ჩვენი მიზანი არის იმის შესწავლა, თუ მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში საქართველომ როგორ იცვალა ფერი, თუ როგორ გაჩნდენ და თანდათან განვითარდენ მასში ახალი საზოგადოებრივი პირობები. მაგრამ ის გარემოება, რომ მთელი ამიერკავკასია ნივთიერი წარმოების პირობებმა ერთ კალაპოტში ჩააყენეს და მიუხედავათ მისი სხვა-დასხვა ნაწილების როგორც ფიზიკურათ, ისე ტომებრივათ განსხვავებისა, ეკონომიურათ ერთ მთელათ აქციეს, ეს გარემოება, ვიმეორებთ, გვაიძულებს განვიხილოთ მთელი ამიერ-კავკასიის ეკონომიური მდგომარეობა და საქართველო გამოვაცალკევოთ მხოლოთ იქ, სადაც ეს საჭირო იქნება. ერთი შენიშვნა კიდევ. ჩვენი შრომა შეიცავს უმთავრესათ ფაქტიურ მასალას—ისტორიულ და სტატისტიკურ ცნობებს, რომელნიც ამ მიზნით პირველათ მხოლოთ ჩვენ მიერ არის შესწავლილი და გამოკრებილი თავ წყაროებისაგან. ჩვენ კარგათ ვგრძნობთ, თუ რა ნაკლულევანება აქვს ამ სტატისტიკურ მასალას, თუ რამდენათ შორს არის ის სინამდვილესთან,—მაგრამ რა გაეწყობა? ჩვენ შეგვიძლია ვეცადოთ, რომ მომავალში ავიცდინოთ ეს ნაკლულევანება. რაც შეეხება წარსულს, უნდა ვისარგებლოთ მით, რაც სხვა-და-სხვა ოფიციალურ თუ კერძო გამოცემებში არსებობს და რაც ჯერ ხელუხლებელია. ჩვენ ვეცდებით, სადაც შესაძლებელი იქნება, მარტო ერთ წყაროს არ დავემყაროთ, არამედ ერთი და იგივე საგნის გამოსარკვევათ სხვა და სხვა წყაროს ან საშუალებას მივმართოთ, რათა სინამდვილესთან უფრო ახლო მივიდეთ. ასეთია ჩვენი განზრახვა და რამდენათ მის სისრულეში მოყვანას შევძლებთ, ამას მკითხველი დააფასებს.

—

ჩვენ ვიწყებთ მცხოვრებთა რაოდენობის გაანხილვით [1]). მცხოვრებთა რაოდენობის ზრდა-მატება არის უტყუარი მაჩვენებელი თვით ხალხის ძალღონის ზრდა-მატებისა, მისი საწარმოო ძალთა განვითარებისა. ხალხის რაოდენობის შეტყობას ყოველთვის და ყოველგან უპირატესი ყურადღება ჰქონდა მიქცეული ყოველგვარი ბეგარის თუ ხარკის რაოდენობის გასაგებათ. მაგრამ მიუხედავათ ამისა, ამ საგნის შესახებაც არ არსებობს სწორი სტატისტიკა. [2]) და თუ დღეს ეს ასეა, როცა სტატისტიკურ კვლევაში გაუმჯობესებული წესებია შემოღებული, ამ ერთი საუკუნის წინეთ რაღა უნდა ყოფილიყო. ძველ, ფეოდალურ, საქართველოში, სამეფო წესწყობილების დროს მცხოვრებთა საერთო აღწერა არ ხდებოდა: მეფემ და ფეოდალურმა ბატონებმა, ყველამ თავისთვის ვარაუდით იცოდენ რამდენი ქვეშევრდომი ანუ ხარჯის და ბეგარის გადამხდელი ყმა ყავდათ და ეს საკმარისი იყო. რუსეთის მთავრობის დაფუძნების თანავე ჩვენში ასეთი აღწერის მოხდენა აუცილებელი შეიქნა. მეორე მხრით ადვილი წარმოსადგენია, რა ძნელი უნდა ყოფილიყო საერთო აღწერილობის მოხდენა ახლათ დაარსებული მთავრობისთვის, რომელიც უამისოთაც ათას გვარ ეჭვს ბადავდა ხალხში. მაგრამ მთავრობა არ შეუშინდა ამას და დაფუძნების პირველსავე წლებში ორ ჯერ, სახელდობ 1806 წ. და 1811 წ., მოახდინა ქართლ-კახეთის და ზოგიერთ მახლობელ პროვინციების გადამხდელ წოდებათა აღწერა, რომლის ცნობები, ჩვენი აზრით, ძლიერ დაახლოვებით განსაზღვრავენ ქართლ-კახეთის სამეფოს მცხოვრებთა რიცხვს მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს. სამწუხაროთ იმ დროისთვის ასეთი ცნობები არა გვაქვს არც იმერეთზე და არც ამიერ-კავკასიის დანარჩენ პროვინციებზე. მართალია ოფიციალურ მოხსენებებში აღნიშნულია ამ პროვინციებში მცხოვრებთა რაოდენობაც, მაგრამ ეს ცნობები მეტათ საეჭვონი არიან. კერძოთ იმერეთის შესახებ უნდა შევნიშნოთ, რომ მას 1811 წელს დიდი შიმშილობა ეწვია, რაც საზოგადოთ ძველ საქართველოში ხშირი მოვლენა იყო. შიმშილს ჟამიც მოყვა. ამის შესახებ იმერეთის მაშინდელი მმართველი, ბ. სიმონოვიჩი, წერს; „იმერეთი დიდ უბედურებაში ჩავარდა; შიმშილმა და ჟამმა მცხოვრებთა რიცხვი გაანახევრესო“. [3]) თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ მარტო ოფიციალური გამოანგარიშებით იმერეთმა, ერთი წლის განმავლობაში სტიქიურ უბედურებათა მეოხებით,

*) იხ. „კვალი“ № 1, 1900 წ.

[1]) ჩვენ უნდა დაკვეწყო წარმოების ფორმათა განვითარების შესწავლით, მაგრამ ეს შემდეგისთვის გადავდევით.

[2]) მოვიყვანოთ ერთი მაგალითი. 1886 წელს მოხდა ამიერ-კავკასიის მცხოვრებთა საერთო აღწერა, რომლიდანაც აღმოჩნდა, რომ 1886 წ. თფილისში სულ 78,445 სული ცხოვრობდა, მაშინ როცა იქ 1876 წლის ერთი დღის აღწერით ირიცხებოდა, მოსწავლეებს, ჯარებს და არესტანტებს გარდა 89,951 სული (იხ. Сводъ стат. дан. о насел. Закав. края, Тифлисъ, 1993 წ.). გამოდის, რომ 1876—1886 წლებში თფილისის მცხოვრებთა რიცხვი შემცირებულა, რაც სინამდვილეს ეწინააღმდეგება.

[3]) იხ. Акты etc; T. V, Стр. 98.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲔᲠᲔᲜᲑᲣᲠᲒᲘ

დაჰკარგა 42,200 სული, სიმონოვიჩი მართალი იყო, როცა ამბობდა, რომ „შიმშილმა და ტყვემ იმერეთის მცხოვრებთა რიცხვი გაანახევრესო“. იმავე 1811 წელს შიმშილობა ეწვია კახეთსაც, თუმცა არა ისე ძლიერი, როგორც იმერეთს. ყოველივე ეს არა თუ აფერხებდა ხალხის გამრავლებას, არამედ კიდევ უფრო ამცირებდა მის რაოდენობას. მაგრამ ხალხის გამრავლება საქართველოში მეცხრამეტე საუკუნის პირველი ოცი წლის განმავლობაში დაბრკოლებული იყო იმიტომაც, რომ ამ ხანებში ხალხში ჩამოვარდა საერთო მოუსვენრობა, შიში და ძრწოლა, გამოწვეული ალბათ უცხო წესების შემოღებით და უცხო ზნე-ჩვეულებათა გავრცელებით, რაც სამუდამოთ ძირს უთხრიდა საუკუნეთა განმავლობაში არსებულ და შესისხლხორცებულ ზნე-ჩვეულებათა და საზოგადოებრივ დაწყობილებას. ასეთი ხანა არსად და არაოდეს არ ყოფილა კეთილმაყოფელი ხალხის კეთილდღეობისთვის. მაგრამ განვლო დრომ და ხალხში თანდათან გაქრა ეს უიმედობა და შიში; იმავე დროს საზოგადოებრივი ცხოვრების ნივთიერ პირობებში მოახდა ღრმა ცვლილებანი თანამედროვე ადამიანობის და მრეწველობის განვითარების მეოხებით, რამაც თავისთავად გამოიწვია ხალხის გამრავლებაც.

მეცხოვრებთა საერთო რიცხვი. ჩვენი გამოანგარიშებით, რომელიც დაწვრილებით ქვევით მოგვყავს, მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში ქართლ-კახეთის და იმერეთ-გურია—სამეგრელოს მცხოვრებთა საერთო რაოდენობა დაახლოვებით უდრიდა 413,929 სულს.

ქართლ-კახეთი (1806 წ.)—168,929 სული[4])
იმერეთი (1810 წ.)—120,000[5]) —
გურია (1810 წ.)— 25,000
სამეგრელო (1804[1] წ.)—100,000[6])

სულ 412,929 სული.

ეს რიცხვი სინამდვილესთნ ახლო უნდა იყოს; რაც შეეხება შემდეგ ციფრებს, ისინი ბევრათ უფრო საეჭვონი არიან:

ქარი და ბელაქარნი—90,000 სული მამ. სქ.
შირვანის სახანო (შემახა)—120,000 — —
შექის სახანო (ნუხა) — 75,000 — —
ელისუის სასულტანო — 60,000 — —
ყარაბაღის სახანო — 5,079 — —
შურაგელის — — 2,773 — —

სულ 372,852 ს. მ. სქ.

თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ზევით დასახელებულ პროვინციებში უფრო მახმადიანები ცხოვრობენ, სადაც დედაკაცები მცხოვრებთა საე-

[4]) იხ. Акты, т. III. стр. 714. ტექსტში მოყვანილი ციფრი 168,929 შემდგარია ამ ნაირად: 1806 წლის აღწერით ქართლ-კახეთის, ბორჩალოს, კახეთის, ჰაშაქის და შამშადილის გადამხდელ წოდებათა რიცხვი შეადგენდა სულ 153,572 სულს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ რაც უნდა დიდაღი ყოფილიყო ჩვენში თავისუფალ წოდებათა რაოდენობა, გადამხდელ წოდებებთან შედარებით 10% მეტი მაინც

რთო რაოდენნობასთან შედარებით 80% შეადგენენ, გამოვა, რომ იქ კიდევ 298,281 სული დედაკაცი ცხოვრობდა. ანუ სულ ერთათ მამაკაცებიანათ 671,133 სული. გარდა ამისა ბაქოში, ყუბაში და იმათ ახლო-მაგლო მიდამოებში ცხოვრობდა 13,951 სულ ორივე სქესისა.[7].. მაშასადამე დღევანდელი ამიერ-კავკასიის მცხოვრებთა რიცხვი, აბხაზეთს, დაღესტანს, ახალციხის, ბათომის, და ყარსის ოლქებს გარდა, მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს დაახლოვებით უდრიდა **1,099,013** სულს.

1835 წლიდან ამიერ-კავკასიის მცხოვრებლებზე ჩვენ გვაქვს უკვე უფრო მართალი და ამასთანავე უფრო დაწვრილებითი ცნობები. აი ცხრილი, რომელიც გვაჩვენებს ამიერ-კავკასიის მცხოვრებთა ზრდას მეცხრამეტე საუკუნის უკანასკნელ 65 წლის განმავლობაში.[8]

წლები	მცხოვრებთა რაოდენობა	ოთხ კუთხედ ვერსზე რამდენი სული
1835 [9]	1.550,000	—
1858 [10]	2 705,395	14,52
1865 [11]	3.115,164	16,30
1873 [12]	3.521,203	—
1886 [13]	4.684,773	22,23
1897 [14]	5.461,911	95,91
1899 [15]	5.578,587	26,84

მაშასადამე ამიერ-კავკასიის მცხოვრებთა რიცხვი ერთ მილიონ და ასი ათასიდან მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისს მის დასასრულს ხუთ მილიონ ნახევარს გადასცილდა, ე. ი. გადიდდა ხუთჯერ; პროცენტებით ეს ზრდა გამოიხატება $416,_{69}$%. რასაკვირველია, ასეთი ზრდა არ მიეწერება მარტო ადგილობრივ მკვიდრთა ბუნებრივ გამრავლებას. ეს შესამჩნევი ზრდა აიხსნება აგრეთვე როგორც ახალი პროვინციების შემოერთებით, ისე უცხო ტომთა ჩამოსახლებით[16], მაგ. სლავიანების, სომხების და სხ. ყოველ შემთხვევაში მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში ამიერ-კავკასიის მცხოვრებთა რიცხვი, შემდეგ ხანებში შემოერთებულ პროვინციების მცხოვრებთა და ჩამოსახლებულთ გარდა, სამჯერ მაინც გადიდდა, თუ მეტათ არა, მაშინ როცა იმავე ხნის განმავლობაში მთელი დედამიწის მცხოვრებთა რიცხვი გადიდდა მხოლოთ $2^1/_2$ ჯერ. მოვიყვანოთ აქ კიდევ ერთი ცხრილი, რომელიც დაგვანახვებს ამიერ-კავკასიის თითოეულ გუბერნიის მცხოვრებთა რაოდენობას ცალ-ცალკე 1899 წელს, თითოეული მათგანის სივრცის, სიმჭიდროების და მცხოვრებთა საერთო რაოდენობაში პროცენტული მონაწილეობის ჩვენებით.

სახელი გუბერნიების	სივრცე ოთხკ. ვერსებათ	მცხოვრებთა რაოდენობა	სიმჭიდროება ოთხკ. ვერს.	% მონაწილეობა საერთო რიცხვ.
ქუთაისის	$31,789,_{37}$	1.099,056	$34,_{57}$	$19,_{70}$
თფილისის	$34,828,_{12}$	984,613	$28,_{27}$	$17,_{65}$
განჯის	$37,963,_{73}$	887,425	$23,_{37}$	$15,_{91}$
ერევნის	$22,929,_{02}$	832.682	$36,_{31}$	$14,_{93}$
ბაქოს	$34,353,_{62}$	800,826	$23,_{31}$	$14,_{35}$
დაღესტ.	$25, 787,_{7}$	589,809	$22,_{87}$	$10,_{57}$
ყარსის	$16,630,_{71}$	302,008	$18,_{76}$	$5,_{41}$
ზაქ. ოლქ.	$3,507,_{24}$	82,168	$23,_{43}$	$1,_{48}$
სული	$207,789_{51}$	5.578,587	$26,_{84}$	$100,_{00}$

ამნაირათ მცხოვრებთა რაოდენობით დღეს ქუთაისის და თფილისის გუბერნიებს პირველი ადგილი უჭირავთ, იმათი მცხოვრებნი შეადგენენ $37,_{35}$% მთელი ამიერ-კავკასიის მცხოვრებთა საერთო რაოდენობისას; სიმჭიდროებით კი პირველი ალაგი ერევნის გუბერნიას უჭირავს, $36,_{31}$ კაცი თითო ოთხკ. ვერსზე, შემდეგ ქუთაისისას $34,_{57}$ კაცი თითო ოთხკ. ვერსზე. ყველაზე უფრო მეჩხრათ დასახლებულია ყარსის გუბერნია, ე. ი. $18,_{76}$ კაცი ოთხ—კუთხ. ვერსზე.

მცხოვრებთა რაოდენობის მოძრაობა ამიერ-კავკასიის უმთავრეს ერებში. ჩვენ ვიცით, რომ მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში ქართველი ხალხის რიცხვი დაახლოვებით უდრიდა 380,000 სულს. დანარჩენ ერთა შესახებ ამ ხანებისთვის ჩვენ არავითარი სარწმუნო ცნობა არა გვაქვს. მხოლოთ 1835 წლიდან შეგვიძლია გავითვალწინოთ მცხოვრებთა მოძრაობა ამიერ-კავკასიის უმთავრეს ერებში, რასაც შემდეგი ცხრილი წარმოგვიდგენს:

წლები.	საერთო რიცხვი.	რუსები	ქართველები.	სომხები	თათრები	ლეკები
1835	1.550,000	—	432,000	370,000	—	320,000
1865	3.115,164	67,529	852,319	561,734	977,191	—
1886	4.684,773	122,257	1.261,701	939,131	1.139,659	588,733

აი კიდევ ცხრილი, რომელიც გვაჩვენებს ხუთ უმთავრეს ერების მცხოვრებთა საერთო რიცხვში

[7]) Акты, т. IV, გვ. 953

[8]) ამ ცხრილში არ შედის შავი ზღვის პირის გუბერნია წინანდელი შავი ზღვის პირის ოლქი, ვინაიდან ამიერ-კავკასიას იგი მხოლოთ ადმინისტრატიულათ ეკუთვნის.

[9]] О. Евецкій. Ст. опис. Закав. края.

[10]) I. Стебникій. Стат. таблица кавк. края.

[11]) Сборникъ стат. свѣдѣній о Кавказѣ, т. I. 1869.

[12]) Сборникъ свѣдѣній о Кавказѣ. т. VII

[13]) Сводъ Стат. данныхъ о насел. Закав. края, извлеч. изъ посем. списковъ 1886 г., Тиф., 1893 г.

[14]) Кавказскій Кал. за 1899 г.

[15]) Кавказскій Кал. за 1900 г.

[16]) თუმც ისიც უნდა ითქვას, რომ ამიერ-კავკასიიდანაც მრავალი მკვიდრი გადასახლდა ოსმალეთში ამავე ხნის. განმავლობაში.

მონაწილეობას იმავე წლებში $^0/_0$ $^0/_0$-ებათ.

წლები	ქართველები	სომხები.	რუსები.	თათრები	ლეკები
1835	$27,_{87}$	$23,_{87}$	—	—	$20,_{64}$
1865	$27,_{88}$	$18,_{03}$	$2,_{17}$	$31,_{36}$	—
1886	$26,_{96}$	$20,_{05}$	$2,_{60}$	$24,_{32}$	$12,_{57}$

ამნაირათ თუმცა თითოეული დასახელებული ხალხის რიცხვს აბსოლიუტურათ უმატია, მაგრამ შედარებით მცხოვრებთა საერთო რაოდენობის ზრდასთან უკლია, გარდა რუსებისა, რომელთაც მომატებია მცირეოდენი პროცენტი, ე. ი. $0,_{43}\,^0/_0$. ყველაზე უფრო უკლია ამ მხრით ლეკებს: 1835 წელს ისინი შეადგენდენ $20,_{64}\,^0/_0$ ამიერ-კავკასიის მცხოვრებთა საერთო რიცხვისას და 1886 წელს კი მხოლოთ $12,_{57}\,^0/_0$, მაშასადამე დაუკლიათ $8,_{07}\,^0/_0$; თათრებს დაუკლიათ $(31,_{36}-24,_{32})$ $7,_{04}\,^0/_0$, სომხებს $(23,_{87}-20,_{05})$ $3,_{82}\,^0/_0$. ყველაზე ცოტა დაუკლია ქართველებს $(27,_{87}-26,_{92})$ $0,_{91}\,^0/_0$. ზევით დასახელებულ ერთა ზრდა პროცენტებათ ასე გამოიხატება:

ქართ. 51 წ. განმავლ. - $192,_{06}\,^0/_0$; წლი. მატ. $3,_{76}\,^0/_0$
სომხები — — $153,_{81}$ — — — $3,_{01}$ —
ლეკები — — $84,_{00}$ — — — $1,_{64}$ —
რუსები 21 წ. განმავლ. $81,_{04}$ — — — $3,_{86}$ —
თათრები — — $16,_{62}$ — — — $0,_{79}$ —

აქედან ჩვენ ვხედავთ, რომ ყველაზე უფრო უმატია ქართველ ხალხს, ე. ი. $192,_{06}\,^0/_0$, იგი გამრავლებულა 51 წლის განმავლობაში თითქმის სამჯერ $(2,_{9})$, ორთა შუა რიცხვით ყოველ წლივ მას უმატია $3,_{76}\,^0/_0$; ამათ მოსდევენ სომხები, რომელთაც უმატიათ იმავე ხნის განმავლობაში $153,_{81}\,^0/_0$, ყოველ წლივ $3,_{01}\,^0/_0$. ყველაზე ნაკლებათ უმატია თათრებს, 21 წლის განმავლობაში მხოლოთ $16,_{62}\,^0/_0$, ყოველ წლივ $0,_{79}\,^0/_0$. რუსებს უმატიათ ქართველებზე ცოტა მეტი, 21 წლის განმავლობაში $81,_{04}\,^0/_0$, ყოველ წლივ $3,_{86}\,^0/_0$. მაგრამ იმათი მატების ასეთი დიდი პროცენტი მიეწერება რუსების ახალ ელემენტების ჩამოსახლებას, იმიგრაციას ამიერ-კავკასიაში. ესევე უნდა ითქვას სომხებზედაც, რომელთა დენა ოსმალეთიდან და სპარსეთიდან ამიერ-კავკასიაში თანდათან მატულობს. მეორე მხრით თუ თათრების და ლეკების რიცხვს გაცილებით ნაკლებათ უმატია (ყოველ წლივი მატება პირველებისა $0,_{79}\,^0/_0$, მეორეთა $1,_{64}\,^0/_0$), ეს აიხსნება იმით, რომ ისინი ვერ შეეგუენ რუსეთის მთავრობას და ამის გამო იმათი რამდენიმე ნაწილი გადაესახლა ოსმალეთში.

პირველი ადგილი ამიერ-კავკასიაში დასახლებულ ხალხთა შორის ქართველებს უჭირავთ; ისინი შეადგენენ დაახლოვებით $27\,^0/_0$ ამიერ-კავკასიის საერთო მცხოვრებლებისას. ქართველი ხალხი დასახლებულია განსაკუთრებით ორ გუბერნიაში: თფილისის და ქუთაისის, პირველში იგი შეადგენს $49,_{08}\,^0/_0$ და მეორეში $89,_{02}\,^0/_0$ საერთო მცხოვრებთა რიცხვისას. 17) ამნაირათ ქართველი ხალხის რიცხვით ქუთაისის გუბერნიას პირველი ადგილი უჭირავს. აქ უნდა აღვნიშნოთ ერთი ფაქტი, რომელსაც ამიერ-კავკასიის მცხოვრებთა სტატისტიკური მასალის შესწავლა აშკარათ ყოფს: ჩვენ ვამბობთ ქართველ მთიულთა ბედზე. ქართველი მთიულები იყვნენ:

	1835 წ.	1886 წ.	მეტი $^0/_0$ $^0/_0$	ნაკლები $^0/_0$ $^0/_0$
ფშავნი	5,180 სული;	9,155 ს.	$76,_{54}$	—
ხევს.	6,200 —	; 6,560 ;	$5,_{48}$	—
თუშნი	6,120 —	; 5,624 —	—	$8,_{10}$
სულ	17,500	21,339	$21,^{93}$ —	

მაშასადამე, თუშ-ფშავ-ხევსურთ 51 წლის განმავლობაში მოუმატიათ მხოლოთ $21,_{93}\,^0/_0$, წლიურათ $0,_{43}\,^0/_0$; კერძოთ თუშების რიცხვს ამ ხნის განმავლობაში მოკლებია 496 სული, ე. ი. $8,_{10}\,^0/_0$. მაგრამ ბევრათ უფრო სამწუხარო მდგომარეობაში სვანეთი იმყოფება: 1835 წელს იქ ითვლებოდა 30,000 სული, 1886 წელს კი მხოლოთ 14,035, ე. ი. 51 წლის განმავლობაში მოკლებია 15,465 მცხოვრები, ანუ $53,_{21}\,^0/_0$. აქედან ცხადათ ჩანს, რომ ქართველი ხალხის ზრდაში ქართველ მთიულთ თითქმის არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ.

1886 წლის შემდეგ ჩვენ არა გვაქვს ისეთი სტატისტიკა, რომელიც ამიერ-კავკასის ერთა რაოდენობას განსაზღვრავდეს. და თუ ჩვენ მაინცა და მაინც მოვისურვებთ ქართველი ხალხის რაოდენობის განსაზღვრას 1899 წელს, ამისთვის ჩვენ ორი საშუალება გვაქვს: პირველათ ქართველი ხალხის წლიური მატება და მეორეთ მისი მონაწილეობა ამიერ-კავკასიის მცხოვრებთა საერთო რაოდენობაში. როგორც ვიცით, ქართველების საერთო რიცხვი 1886 წელს იყო 1.261,701; თუ მივიღებთ, რომ ქართველი ხალხის წლიური მატება $1,_{5}\,^0/_0$ მაინც იქნება (1886 წლამდის ქართველების წლიური მატება $3,_{76}\,^0/_0$ იყო), 13 წლის განმავლობაში მას უნდა მომატებოდა დაახლოებით 250,000 სული, რომელიც უნდა მიემატოს 1.261,701, გამოვა 1899 წლისთვის ქართველების რიცხვი 1.511,701. თუ მეორე მხრით, მივიღებთ,

17) ასე იყო 1886 წელს. იხ. Сводъ стат. дан. о насел. Закав. края, Тифлисъ, 1893 г. როგორ შეიცვალა შემდეგში ეს განწყობილობა, ამის შესახებ ცნობები არა გვაქვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ქართველები შეადგენენ მთელ ამიერ-კავკასიის მცხოვრებთა $27,_{57}\%$ [18]) და ავიღებთ 1899 წლის ამიერ-კავკასიის მცხოვრებთა მთელ რიცხვს, მივიღებთ 1.538,017, ე. ი. ციფრს, რომელიც ძლიერ უახლოვდება პირველი გამოანგარიშებით მიღებულს. ამნაირათ ქართველი ხალხის რიცხვი უნდა უდრიდეს ამ ჟამათ დაახლოვებით $\left(\frac{(1.511,701+1.538,017)}{2}\right)$ ანუ 1.524,859 სულს. მაშასადამე ქართველი ხალხის რიცხვი მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში ოთხჯერ მეტი გამხდარა, მოუმატია $301,_{58}\%$, რაც მეტათ იშვიათი მოვლენაა ხალხთა გამრავლების ისტორიაში. მაგ. ევროპის მცხოვრებთა რიცხვი იმავე ხნის განმავლობაში ძლივს ორჯელ მეტი გახდა. კერძოთ, ბელგიის ხალხმა, რომელიც გამრავლების მხრით ყველაზე წინ დგას ევროპაში, 59 წლის განმავლობაში (1831 - 1890) მხოლოთ 60% მოიმატა. მიუხედავათ ამისა, როგორც საქართველო ისე კიდევ უფრო მთელი ამიერ-კავკასია ევროპასთან შედარებით ძლიერ მეჩხრათ არის დასახლებული: თითოეულ ოთხკუთხედ კილომეტრზე (კილომეტრი ვერსზე ცოტა ნაკლებია) ამიერ-კავკასიაში მოდის 24 კაცი მაშინ როცა ევროპაში შუათანა რიცხვით იმავე სივრცეზე 115 კაცი ცხოვრობს.

(შემდეგი იქნება) ფ. ძახარაძე.

---

[18]) $\left(\frac{(27,_{87}+27,_{88}+26,_{96})}{3}\right)=27,_{57}\%$

ᲝᲗᲮᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲔᲗ

(ძველი მამასახლისის ნაამბობი).

(გაგრძელება)*)

გიორგი წერეთლისა.

აც უფრო ვუახლოვდებოდი ქ...ს, თანდათან მოვიწყინე და თავი დავკარი. უეზდის უპრავლენიასთან რომ მივედი ისეთი ვიყავი, დანა რომ გეკრა, ცვარი სისხლი არ გამომდინდებოდა. ვიცოდი, უეზდის ნაჩალნიკი ახირებული კაცი იყო და ამისი უფრო მეშინოდა.

უეზდის ნაჩალნიკმა რომ შემომხედა, შუღლიანი სახით წამოდგა და დამიახლოვდა.—ეჰ, ვთქვი, გაწყრა ღმერთი. ჯერ კიდევ არ ვიყავი სამსახურს შეჩვეული, სულ ურა კვიცი ვიყავი, ტყუილა თითს ვერავინ დამაკარებდა.—თუ შემომკრა, აქვე უნდა მოვიკლა ჩემი თავი მეთქი.

იმან დამირუსულა ⁄ დამირუსულა. ხმას თანდათან უმატებდა; მე ნელანელა უკანუკან ვიწეოდი. გული ჩიტსავით მიფართქალებდა, როცა ის კატის კლანჭებშია გაძაგრული.

რომ აღარა ეშველარა, პასუხი ვერ გამომტყუა, ბოლოს დაიღრიალა, პერევოჩიკო. უცებ გამოვარდა თარჯიმანი და გადამითარგმნა; უეზდის ნაჩალნიკი გიბრძანებს, გაფთხილდი, ოჩრის ცხენები მუდამ ხუთი, ექვსი გყავდესო. ამ დღეებში ღენერალი მობრძანდება და გზები შეაკეთებინეო. კანვერტები რაც მოგივიდეს, გაუგზავნელი და აუსრულებელი არ დააგდოვო. ხანჯალი აღარ დავინახო შენ წელზეო. მეტი არაფერი, წადიო.

გულში ვთქვი, შე ოჯახ აშენებულო, აგრე გეთქვა ქრისტიანულათ, კინაღამ შევარდენ შეტევებულ მტრედსავით გული გამისკდა მეთქი. ძირამდის თავი დავუკარი, გამოვედი გარეთ, მოვახტი ცხენს და, როგორც ფინთიხი, ისე გამოვექანე. თითქმის მივრბოდი, მეორე კანვერტი არ დამწეოდა გზაზე. ნაჩალიკის დარიგება ერთი არ მომეწონა: ხანჯალი წელზე აღარ გინახოვო. ამას შემდეგ სწორეთ ყურ-მოჭრილ ყმათ გადავიქეცი. მაგიერათ სოფლის ხალხის გამოწვევამ და გზების შეკეთებამ გული გამიკეთა. თუ გავივსე ჯიბე წითლიან-ცისფრიანებით, ახლა გავივსე მეთქი. ჩემი მწერალი უნდა დავტუქსო, ერთობ გაკადნიერებულია ჩემთან მეთქი. იმ ღამეს შინ ამოვედი, მეორე დღეს პოპოშნიკები დავიბარე. სოფლის მწერალიც, რასაკვირველია, კანცელარიაში მოვიდა. ცოტა არ იყო იმას შუღლიანათ შევხვდი: ნაჩალიკმა შემოგითვალა, რაც მამასახლისმა გიბრძანოს, ყოველივე აუსრულე, თორემ შენ თავს გამოვაცვლევინებო. ამ შენიშვნაზე იმან ჩუმათ წაილაპარაკა:—მიფთხილდი, მე უფრო მალე არ გამოგცვალო, ასეთ დანოსს შეგიდგენ, სადაც ფეხები გაქვს, იქ თავს დაგაკვრევინებო. ეს სიტყვები გულში ელდათ მეცა. ვიფიქრე, ისევ ჯობია, შევუამხანაგდე, თორემ გამაფუჭებს მეთქი. იმ წუთას არა ვუთხარი-რა, მხოლოთ შემდეგ მინდოდა ცალკე გამეცხადებინა მისთვის ჩემი გულის პასუხი. პოპოშნიკებს ვუბრძანე: ხალხი გამოიწვიეთ, გზები უნდა შევაკეთოთ, ღრუბენატარი მობრძანდება იქითა კვირაში. გავეცი ყოველნაირი განკარგულება, ყველანი დავითხოვე, მწერალი შინ წამოვიყვანე და წამოვედი, იმას კარგი სადილი ვაჭამე, ცოტა ღვინოც დავაძალე; სადილს შემდეგ, საცა კარგი ჩერო იყო, ეზოში ხალიჩა გავაშლევინე, ორი მუთაქა მოვატანინე და ზედ წამოვკოტრიალდით, მერე დავუწყე:—ჩვენ

---

*) იხ. „კვალი“ № 6.

ახლა კარგი ამხანაგობა გვმართებს, ერთმანეთს ხელი მოვკიდოთ, შენ კარგი კალმის და ჩოთქის კაცი ხარ, განკარგულება ჩემ ხელშია, ამასთანავე კარგი გამოცდილი და მოხერხებულიცა ვარ, ახლა ამ გლეხ კაცებს რომ გამოვიწვევთ, გზები იმდენი არა გვაქვს-რა საკეთებელი და ამითი შეგვიძლია კარგათ ვისარგებლოთ მეთქი.

— როგორ არაო, მომაძახა – მეც ეგ მინდოდა შენთვის მეთქვაო.

— არა ჩემო კარგო მეთქი,—ორი წილი მე, ერთი წილი შენ.

— შენც არ მომიკვდეო! - მიპასუხა გაკუდურებულმა მწერალმა. მართლა მდივანბეგი არ გეგონოს შენი თავი, ასეთ დანოსს...

— სსუ! სსუ! უცებ ხელი მივაფარე ტუჩებზე, მეტს ნუღარ გამაგონებ მეთქი. შენი ნება იყოს, ნახევარი შენ, ნახევარი მე...

— კარგიო, მითხრა. ამას შემდეგ გავკოცნეთ ერთმანეთი.

— აბა ფული შენ იღე და ბეჯითათ წერე, რამდენიც შემოგივიდეს მეთქი. მე სიმიდებით ვიცი თვლა, არა დამავიწყდება-რა, მაგრამ შენც დაითვალე მეთქი. იმან ეშმაკურათ გადმოხედა, ალბათ იფიქრა: შენი სიმინდები ჩემ ჩოთქს ვერ მოწვდებიანო. გამოვეთხოვე, ერთი კიდევ ფარისევლურათ გავკოცნე და გავუშვი. ჩემი მწუხარება გამართლდა. ისეთნაირათ გამიძაღლა საქმე, რომ რასაც საერთოთ ვიღებდით, მესამედის მეტს არ მაძლევდა, თუ რასმე ვუსაყვედურებდი,—მეტყოდა: გაჩუმდი, თვარა გაშანშალებული დანოსი მაქვს გამზადებულიო. მე ერთი უკალმო კაცი ვიყავი, არძის რომ მეშინოდა, მამალი მგლის არ შემეშინდებოდა ისე. დავმორჩილდი ჩემ ბედს, ოღონდ საქმე კარგათ წასულიყო, მაგრამ უბედურება მაინც თავიდან ვერ ავიცილე.

ერთ დღეს მოვიდა იასაული და იმ ჩემ დამტანჯავ კანვერტს კიდევ ხელით მოაქნევს. გამისკდა ჩვეულებრივათ გული, კანვერტი მწერალს გადავეცი. იასაულმა პირადათ მითხრა, ღრუბენატორი და მთელი ქ—ს ჩინოვნიკობა ზეგ მოდიანო. ნაჩალიკმა შემოგითვალა,—ყოველივე რიგიანათ დამახვედრე, თორემ პასუდში მიგცემო. თავი და ბოლო ის არის, საჩივარი არავინ განაცხადოსო. ამისთანა მუქარამ სულ მუხლებში დამხუთა. გული წმინდათ არ მქონდა. გზის საკეთებლათ მართლა დიდი და პატარა გამოვიწვიე. ბევრი მიკრაჭუნებდა კბილებს. ზოგი ამბობდა, ჩემ გასაგონათ... ვისგან რამდენი ამელო მუშაობის პატივებაში. ყველაზე საუბედურო ნიშნებს იმაში ვხედავდი, რომ ბძანება მქონდა ხალხი კანცელარიასთან უნდა დამეხვედრებინა; ზოგიერთი ჩვენ საზოგადოებაში არზის ძლევით ისე გაწუწკებული იყვენ, როგორც ლორი ყანაში. მართალია, ამისთანა მაწაწკებისაგან არაფერი აგვიღია, და არც მიპატივებია იმათთვის მუშაობა, მაგრამ მაინც შიში მქონდა, სხვები არ გაებრიყვებინათ და მოსარჩლეთ არ დადგომოდენ.

შემეწია ღმერთი და წინ დღით მობრძანდა ჩემი მოწყალე და პატრონი ნაჩალიკის პოპოშნიკი.

— მამასახლისოვო—მკითხა—ხომ ყველაფერი რიგიანათ გაქვსო. გზები გვარიანათ შეგიკეთებია, მალდობელი ვარ, მაგრამ კანცელარიის წიგნები, შტრაფის დავთარი, შემოსავალ-გასავალის ჟურნალი ხომ ყველა რიგიანათ გაქვსო.

ამ უკანასკნელ კითხვაზე გამაცივა. კანცელარიის წიგნები კი არა, ხანდახან ქაღალდის ნაფლეთიც არ მოიძებნებოდა ჩვენ ბარობაზე.

— შემცდარი ვარ, მაპატივე, ჩემო ხელმწიფევ, მე ეგ წესები არ ვიცოდი-მეთქი. მუხლი მოვუყარე და დაველრიჯე.

— ეგ არაფერიაო. ჯერ კიდევ მაინც კარგათ არ გამოგცხადებიათ თქვენი მოვალეობა. ახლა ღუბერნატორი რომ მობძანდება, ის გამოგიცხადებსთ, აგიხსნისთ თქვენ მოვალეობას და მერე, თუ რამე უპუშჩენიე გექნა, კანონით დაისჯები უსამართლობისათვისო.

— ეჰ, ისიც, ისიც! ვიფიქრე გულში და სახეზე ფერი გადამკრა. ალბათ უპუშჩენიე ჩვენგან აღებულ ქრთამებს უნდა ერქვას, ქართულათ აღარ თქვა, ამ საზოგადოებაში თავი არ მომჭრა-მეთქი.

— თქვენთან, შენი ჭირიმე, ორიოდე სიტვა მაქვს მოსახსენებელი-მეთქი, აგერ, აქ, მეორე ოთახში მობძანდით მეთქი.

შევიდა თუ არა, მეც შევყევი და კარები შევიხურე... დავუჩოქე და ასე შეევედრე: თქვენ მეტი მფარველი და მოწყალე ჩემთვის ღმერთს არ დაუბადებია—მეთქი. ჩემ საზოგადოებაში რამდენიმე კლიაუზი გლეხია და რომ უწესო არაფერი თქვან ღრუბენატორის წინაშე, იქნება საქმე აუჩინოთ და აქეთ იქით დაგზანოთ-მეთქი.

— ძალიან კარგიო.

...მერე ამოიღო პატარა წიგნი, კლიაუზნი კაცების სახელი და გვარი ჩაიწერა.

ვთქვი, მეშველა!

აბა, რაღას ვინაღვლიდი, ეს გლეხების აღებული ფულებიდან ხუთი თუმანი კიდევ ჩამრჩა ჯიბეში. მწერალის ჯავრი მქონდა, იმ უღვთო მწერლისა, რომ პასუხის გება არა ადგა რა თავზე და ფულებს კი ჩემი მეოხებით ორივე ხელებით ხვეჭდა.

მოგეცა სიცოცხლე, მეორე დღეს კლიაუზნი კაცები აქეთ-იქით დავაბნიე. ზოგი რაჭას გავგზავნე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოგი ქ—ს, ზოგი ლ—მს, ზოგი სად და ზოგი სად.

მესამე დღეს გამოვეწყვე, როგორც რიგი იყო, ჩემი პოპოშნიკებიანა, მწყრალიც თან ვიახლე, ნაჩალიკის პოპოშნიკი წინ წაგვიძღვა და ასე ჩესტით მივეგებეთ ღრუბენატარს ჩემ სამამასახლისოს საზღვარზე. იქიდან რომ წამოვედით, ღრუბენატარმა კარგი თვალით შემხედა, მიბძანა, თუ რიგიანად იმსახურებ, ჯილდოს მოგიტანინებო. გამეხარდა, ვიფიქრე, იქნება ყელის მენდალი მაინც მერგოს—მეთქი. ასე მხიარულად რომ მოვდივარ და მოვიჯგიმები, ღრუბენატარის ცხენს ბოგირზე უცბათ ერთი ფიცარი ჩაუტყდა, ცხენმა დაიმუხლისთავა; ღრუბენატარი არ გადმოვარდნილა, მაგრამ უეზდის ნაჩალიკს შებღვირა.—ვაი, შენ ბიჭს ახლა კი უშველე თავს მამასახლისო—მეთქი.

უეზდის ნაჩალიკმა მიმინოსავით შემასწრო თვალი. მე ტანში გამაჟრიალა და უკან ჩამორჩენა დავაპირე. ნაჩალიკი უცებ წამოვიდა ჩემსკენ, მის ბძანებაზე მოვარდა ორი იასაული და უცებ მამასახლისის ძეწკვი ამაგლიჯეს. ამას შემდეგ ნაჩალიკი მეხსავით დამეცა და ორიოდე მათრახი გადამკრა. მიწა რომ გამსკდომოდა და იმ წუთს შიგ ჩავარდნილიყავი, მერჩია ამ სირცხვილს. რაკი კაცათ ვიცანი ჩემი თავი, მას აქეთ ხელი ჩემთვის არავის უხლია; ისე განებივრებული ვიყავი ცხონებულ დიდ ბატონთან, რომ თავადებთან სწორათ მომქონდა ჩემი თავი. აწ რაღა შევიქენი?—გამათრახებული, წვივ-შავი გლეხი. იქვე გადავწყვიტე თხოვნა შემეტანა, რომ მამასახლისობის თანამდებობიდან დავთხოვოდი. ვინ გაგიშვა. გცემენ და არ დაგიტირებენო, ჩემი მდგომარეობაც ასეთი იყო. უეზდის ნაჩალიკმა გააჭენა ცხენი და ისევ ღრუბენატარს დაეწია. ჩემთან რომ იასაული დარჩა, იმან მითხრა, ნაჩალიკმა მიბძანა, დაბრუნებაზე მამასახლისი ბაწრით შეჰკარით დე ქ. .ს ჩამომგვარეთ, ნაობახში უნდა დავალპოვო.

მაშინ-კი მივხვდი, რა ხიფათშიაც გავაბი ჩემი თავი, მაგრამ ჭირს მოთმინების მეტი არა გაეწყობოდა—რა.

(შემდეგი იქნება)

ზ. ფ. ფალიაშვილის კონცერტი.

წარსულ შაბათს, 10 თებერვალს, ზ. ფ. ფალიაშვილმა გამართა კონცერტი თფილისის სობრანიაში, რომელმაც დიდძალ საზოგადოებას მოუყარა თავი უშველებელ დარბაზში. ასეთი თანაგრძნობის მიზეზათ ჩვენ პირველათ ის გარემოება მიგვაჩნია, რომ ბ-ნ ფალიაშვილის ხორომ [illegible] ერთათ მეტი გულკეთილობა, უანგარობა გამოიჩინა: უსასყიდლოთ მიიღო მონაწილეობა ,,ქარ. შორის წერა-კით. გამავრცელებელ საზოგადოების'' მიერ გამართულ კონცერტში, საიუბილეო წარმოდგენის დღეს თეატრში იმღერა, მიიღო მონაწილეობა განჯაში გამართულ ქართულ სახალხო კონცერტში და სხ. მეორე მიზეზათ კიდევ ის, რომ ბ. ფალიაშვილს, რომელმაც თფილისში სამუსიკო სასწავლებელი გაათავა, უნდა რუსეთში წასვლა სწავლის გასაგრძელებლათ, რათა უფრო მომზადებული შეუდგეს, სხვათა შორის, ქართული ხალხური სიმღერების შესწავლასა და შემუშავებას. ბ. ფალიაშვილი არ ეთანხმება ჩვენი სიმღერების მცოდნეთა უმრავლესობას, რომლებიც მხოლოთ გადმოიღებენ ხოლმე ნოტებზე ხალხურ სიმღერებს თავისი დირსება-ნაკლულევანებით, ხან შეცდომებითაც, და შემდეგ ბეჭდავენ ცალკე რვეულებათ. იმისი აზრით ეს შეცდომაა: ასეთი სიმღერები უნდა შეადგენდეს მხოლოთ მასალას ეროვნული მუსიკის შესაქმნელათ და ამიტომ მხოლოთ კომპოზიტორის კაბინეტს უნდა აშვენებდეს, ხოლო გარეთ გამოტანამდის, დაბეჭდამდის მას ეჭირვება შემუშავება, მუსიკის კანონებთან შეთანხმება... რადგანაც ეროვნული სიმღერის სულსა და გულს შეადგენს პირველი ხმა, ამიტომ იგი ხელ შეუხებლათ უნდა იყოს დაცული, სხვა ხმები კი გარმონიას უნდა დაემორჩილოს, რათა სასიამოვნო გასაგონი გახდეს მინაურებისათვისაც და უცხოელებისათვისაც...

რამდენათ მართალია ბ. ფალიაშვილი, ამისი განსჯა ჩვენი სპეციალისტებისთვის მიგვინდვია

რაც შეეხება ხოროს მიერ კონცერტზე ნათქვამ ქართულ სიმღერებს, უნდა ვთქვა, რომ ყველა მეტათ მწყობრათ და სასიამოვნოთ იყო ნათქვამი, მაგრამ აკლდა გრძნობა, აღფრთოვანება... რაც აიხსნება მხოლოთ იმით, რომ მთელი ხორო თითქმის არა ქართველებისაგან შედგება, რომელთაც ქართული არ იციან, რის გამოც ვერ მოუხერხებიათ ლექსის სიტყვას თავისი შესაფერი გრძნობა გამოატანონ:

მე დარწმუნებული ვარ ფალიაშვილის ხორო რომ ქართველებისაგან შედგებოდეს, მაშინ ქართული სიმღერები ერთი ათათ და ოცათ უკეთესი გამოვიდოდა.

მაშ ვუსურვოთ ბ-ნ ფალიაშვილს უმაღლესი სწავლის მიღება, ქართული სიმღერების შესწავლა და ქართული ხოროთი მისი განმტკიცება თავის და ქვეყნის სასახელოთ . . .

ი. გომელაური.

მეაბრეშუმეთა პირველი ამხანაგობის წევრთა საყურადღებოთ.

(წერილი მარსელიდან).

პარკის (აბრეშუმის) წარმოებამ ამ ბოლო ხანებში ისეთი სახე მიიღო ჩვენში, რომ მასზე ლაპარაკი, ვგონებ, მეტი არ იქნება და ამიტომ ჩვენ ნებას

ვაძლევთ ჩვენ თავს, რამდენიმე ცნობები გადავცეთ მეპარკეებს ევროპის ბაზრის შესახებ, მოკლეთ გავაცნოთ, თუ რა პირობებში იყიდება აქ პარკი.

დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც ჩვენი ქვეყნიდან პარკის გზავნა დაიწყეს ევროპაში (უმთავრესი ბაზარი პარკის გაყიდვაში ჯერ-ჯერობით მარსელია— და მისი დიდი მოქიშპე მილანი); წინეთ მას ძაფათ იღებდენ ჩვენებურათ, ძველებურათ; შრომა მეტი მიდიოდა და ბოლოს ხეირი არაფერი რჩებოდა. საჭირო არ არის გამოუდგეთ იმის ძებნას, თუ ვინ იყო პირველი პიონერი ამ გზაზე, ვიტყვით მხოლოთ, რომ პარკის აქ გამოგზავნა ჯობს ადგილობრივათ მის გაყიდვას, რადგან მოგება მეტი რჩება.

პარკი მარსელში და მილანში იყიდება იმის და მიხედვით, თუ რამდენ ძაფს იძლევა ის; რამდენათაც პარკი მეტ ძაფს იძლევა, იმდენათ პარკის გამყიდველი მოგებულია. საერთოთ კი მიღებულია (საზოგადო ნორმა) რომ 4 კილო (ფუთის $^1/_4$) პარკმა უნდა მოგვცეს ერთი კილო ძაფი. ყიდვა-გაყიდვა ამ ფორმაზე წარმოებს.

თქვენ გაქვთ მაგ. გასაყიდი 2000 კილო პირველი ხარისხისა პარკი. მისი ფასი დღეს აქ არის 11 ფრ. და 75 ს. (ყვითელი მეტი ღირს 50 სანტიმით).

ერთ ფუთ პარკს ამ ანგარიშიდან უწევს 188 ფრ., ჩვენ ფულზე სამოცდა ცხრა მანეთი და ორმოცდა თექვსმეტი კაპეიკი, (როდესაც ფრანკის კურსი $37^1/_2$ კაპეიკია).

მაგრამ მყიდველი გეუბნებათ, მე არ ვიცი, როგორი ფასი ექნება თქვენ პარკს, რამდენ ძაფს მოგცემს, უნდა გავიგოთ. და აი სწორეთ ამისთვის არსებობს ეგრეთ წოდებული Conditions ses soie, დაწესებულება, რომელიც მთავრობას ეკუთვნის და მის ხელქვევით არის. როდესაც თქვენ 2000 კილო გაჰყიდეთ, პარკის ჩაბარებაზე დაესწრო მყიდველი, ანუ უკეთ მისი წარმომადგენელი კომისიონერი, და თქვენ გამყიდველიც დაესწრებით. და თუ გამყიდველი იქვე არ არის, მაშინ იგივე კომისიონერია ორივე (მყიდველ გამყიდველის) მხრის წარმომადგენელი.

გახსნეს ყველა ტომრები, ამოიღეს იქიდან ცოტ-ცოტა ნიმუშები (16 კილო; დაახლოვებით, 2000 კილოზე); ტომრები ისევ შეკერეს; ეს ნიმუშები გაგზავნეს იმ წამსვე Conditions ses soie-ში; იქ ის ხელმეორეთ წონის და მერმეთ გზავნის სხვა-და-სხვა ძაფის ამოსაღებებში, რომ შეიტყონ, თუ როგორი ამოყოლა აქვს ამ პარკს. ძაფის ამომღებმა არ იცის, თუ ვინ არის მყიდველი ან გამყიდველი ამ პარკისა. გზავნიან პარკს, სხვა და სხვა ძაფის ამოსახვევებში, რომ მით შეცდომას ან სხვა რაიმე დამალულ აზრს ნაკლები ადგილი ექნეს. საჭიროა, რომ მათი დასკვნა ერთი მეორესთან ძალიან დაახლოვებული იყოს. ნიმუშების Conitions des soie-ში გაგზავნისთანავე ეს ორი ათასი კილო აწონეს. მწონელი ჩინოვნიკია, სახელმწიფო მოხელე, Peseur juré და მაშასადამე ნაკლებათ დაინტერესებული ქურდობაში. წონა გაიგე, ეს აწონილი ტომრები, ისევ საწყობებში რჩება, რომლის ქირას, რასაკვირველია, თვით პარკის მეპატრონე იხდის და უცდი გაიგო, თუ როგორი ამოყოლა ჰქონდა შენგან გაყიდულ პარკს, ან როგორც აქ ეძახიან redenment, რანდემანს.

ორ სამ. კვირას შემდეგ ამ რედემანსაც გაიგებ. ხანდახან მეტიც აგვიანდება. როდესაც რედემანი მიღებული გაქვს, იცი თუ რა ღირს შენი პარმი; მყიდველს პარკი მიაქვს და შენ ხვედრ ფულს გაძლევს.

ჩვენი პარკი საზოგადოთ გვარიან რედემანს იძლევა...

ჩვენ გავყიდეთ 2000 კილო პირველი ხარისხის, კილო 11 ფრ. და 75 სან. იმ პირობით თუ ოთხი კილო პარკი მოგვცემდა 1 კილო ძაფს (კილოში 1000 გრამია)... მაგრამ მართლა კი ჩვენმა 4 კილო პარკმა მოგცა 1 კილო და 160 გრამ. (ორთა შუა რიცხვით ასე იძლევა), ასე რომ თქვენ მეტს მიიღებთ. 1160 გ.×11 ფ. 75 ან.=1,363,000. ესე იგი კილო პარკს 11 ფრ. და ქვის მაგიერ მოუწია 13 ფრ. და 63 სან; ფუთზე ეს მეტს იქმს 30 ფრ. და 8 სან; ჩვენ ფულზე ათი მანეთი და ხუთი შაურით.

სამოცდა ცხრა მან. და 56 კაპ. მივუმატოთ ათი მანეთი და ხუთი შაური—იქნება სამოცდა ცხრამეტი მანეთი და 82 კაპეიკი. ეს მოგვიწია ერთ ფუთ პარკზე.

რამდენათ პარკი უკეთესი ღირსებისაა და მეტი ამოყოლა აქვს, იმდენათ ფასიც მეტია. და სწორეთ ამიტომ იმათ, ვისაც აქ გამოაქვს პარკი გასაყიდათ, როგორც მაგ. მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობას, დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ პარკის მოვლას, სახელდობრ: 1. საჭიროა მეტი ჭმევა აბრეშუმის ჭიისათვის, რადგან, თუ ჭიას საჭმელი საყოფათ არ აქვს, ვერ აკეთებს მაგარ პარკს; პარკი თხელია და ამოყოლაც ნაკლები, როგორც ეს წელს არის. წლევანდელი ჩვენი პარკის რედემანი ნაკლებია შარშანდელზე, რადგან ჭიას ნაკლები ჭმევა ჰქონდა ბჟოლის ფოთლის შოვის სიძვირის გამო.

2. მეტი სისუფთავე და განსაკუთრებით მეტი ადგილი ჭიისათვის, რადგან როდესაც ჭია ბლომათ არის ჩელტზე, ადგილი არ აქვთ, ორი ჭია ერთათ იყრის თავს, ერთ პარკს აკეთებს, რომელსაც დომოვანს უძახიან, და რასაც ნაკლები ფასი აქვს.

როდესაც პირველი ხარისხის პარკი 12 ფრანკამდის ფასსობს კილო, დომფალი ფასსობს 4 ფ. და 50 სანტიმათ, 3) რაც შეიძლება უკომლო სახლში შენახვა პარკის, რადგან კომლი აშავებს პარკს და მით ფასს უკარგავს; და ვისაც ასეთი სახლი არ აქვს, არ უნდა დაანთოს ცეცხლი იმ სახლში სადაც ჭია ჰყავს. ეს ცნობები უფრო გამოსადეგი იქნება მეაბრეშუმეთა პირველი ამხანაგობის წევრთათვის; ესე იგი იმათვის ვინც აქ გზავნის პარკს გასაყიდათ: და იმათვის კი, ვინც ადგილობრივ ჰყიდის პარკს, მათ რიცხვში „შუამავალი“, ეს ცნობები არც იმდენათ საჭირო იქნება.

უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს პარკის დამთავრებას. თუ პარკი უდროოთ გამოიღო ცახიდან, ჭია ერთხელვე ადგილიდან დაძრული, ვერ აგრძობს მუშაობას. ესეც რომ არ იყოს, პარკი გამოღებისთანავე მიაქვთ საამხანაგო ფარდულებში თუ ვაჭრებთან, სადაც მას ქურებში გაატარებენ ჭიების დასახოცათ. ამ გვარათ ჭია ვერ ასწრებს პარკის დამზადებას და ცოტა ძაფს იძლევა.

ორიოდე სიტყვა „შუამავლის“ შესახებ. “შუამავალს“, როგორც ვიცით, მიზნათ ჰქონდა გამკლავებოდა ჩარჩების მოქმედებას. თავათ ეყიდა საქონელი, იქნებოდა ის პარკი თუ სხვა, და გაეტანა ნაწარმოები საერთაშორისო ბაზარზე. შუამავალიც უთუოთ იმიტომ დაარქვეს, მაგრამ სიტყვა სხვაა და საქმე სხვაო, ნათქვამია, შუამავალმა უმტყუნა მიზანს. წელს ის ყიდულობდა პარკს, ისე როგორც სხვები; (13 მან). 12 მან.—11 და ასე, ბოლოს იქაურ მყიდველებს მიჰყიდა. ჩვენ არ გვაქვს ნება გავკიცხოთ „შუამავალი“, მხოლოთ ვიტყვით, რომ ის თავის მოქმედებით უფრო აქციონერულ საზოგადოებას წაგავს, ვინემ ამხანაგობას. ყოველ შემთხვევაში პირვანდელ მიზანს გადაუხვია.

ე. კიწმარიშვილი.

ახალი წიგნი

საარაკო თავ-გადასავალი ტახტის მემკვიდრისა.

ახალი სახალხო და საუმაწვილო წიგნი, დაწერილი იაკობ გოგებაშვილის მიერ. წიგნში მოთხრობილია თამარ-მეფის შვილის შვილის მემკვიდრე დავითის საოცარი თავ-გადასავალი. ფასი ორი შაურია. წმინდა შემოსავალი მიეცემა მცხეთის ტაძრის განსაახლებელ ფულსა. ისყიდება თფილისში წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში, ქუთაისში ბეჟანიშვილის, ხეთერლის და წერეთლის მაღაზიებში, სენაკში, ოზურგეთსა და ბათუმში თავართქილაძის მაღაზიებში. 2—1

ФРАНЦЪ ДОМКЕ, ЛЕЙПЦИГЪ-ЛИНДЕНАУ.

Комиссіонный и банкирскій домъ

Большой вспомогательный доходъ

Агенты, имѣющіе большое знакомство, могутъ легко имѣть большой вспомогательный доходъ, безъ всякихъ наличныхъ издержекъ и риска. фф. съ реферсиціами. Franz Domke, Leipzig-Lindenau (Германія).

ჩვენი ძველი გმირები

თხზულება გ. წერეთლისა.

ფასი 30 კაპ.

იყიდება „კვალი“-ს რედაქციაში (არტილლერიის ქუჩა № 5) და წერა-კით. საზ. წიგნის მაღაზიაში. ქუთაისში მიტრაფონე ლაღიძესთან

საპოლიტიკო სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი

„კვალი“

გამოვა 1900 წელსაც ყოველ კვირაში ერთხელ ერთიდან სამ თაბახამდე

იმავე პროგრამით როგორც *1899* წელს.

რედაქციისაგან: ახალი წლიდან „კვალს“ მიემატება პროგრამის ყველა განყოფილებები, რისთვისაც შედგა მუდმივ თანამშრომელთა წრე.

გაზეთი წლიურათ ღირს გაუგზავნელათ 7 მანეთათ, ხოლო გაგზავნით 8 მან. ნახევარი წლით გაუგზავნელათ 3 მან. 50 კაპ., გაგზავნით 4 მან. სამი თვით გაუგზავნელათ 2 მანეთ., გაგზავნით 2 მ. 50 კ. თითო ნომერი სამ შაურათ. ხელის მომწერლებს წლის ფული შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათ გამოგზავნონ.

ხელის მოწერა მიიღება თფილისში „წერა-კითხვისი საზოგადოების კანტელარიაში“ *(Дворцовая ул, д. зем. банка № 101)* და თვით „კვალის“ რედაქციაში არტილერიის ქუჩა, № 5, კორპუსის ახლო.

ფოსტის ადრესი: *Тифлисъ Редакція „КВАЛИ“*

რედაქტორ.-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.

Доз. ценз. Тиф., 18 Февраля 1900 г. სტამბა ე. ი. ხელაძისა. Тип. Е. И. Хеладзе Л.-Мелик., ул., № 28.